

ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია, როგორც კრიტიკული  
აზროვნების განმავითარებელი ტექნოლოგია

მირანდა მანჩხაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის  
დიდაქტიკაში განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის  
საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ტალიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევას. კვლევის მიზანია დაადგინოს მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, როგორც კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი ტექნოლოგიის, როლი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე. კვლევის ძირითადი საკითხებია:

1. კრიტიკული აზროვნების ფილოსოფიური დიდაქტიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლები
2. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების ანალიზი წიგნიერებაში.
3. კითხვის სტრატეგიები (ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია), როგორც კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი ტექნოლოგია.
4. რეფლექსია ლიტერატურის სწავლებაზე.

ისევე, როგორც სხვა მრავალი კვლევის შემთხვევაში, აღნიშნულ კვლევას აქვს პოტენციური შეზღუდველი/რისკები: შერჩევის არასრულყოფილი ჩარჩო, დროში შეზღუდულობა, კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა, ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაუცემლობა.

მონაცემები დამუშავდა თეორიულად, რამდენადაც ჩატარდა თვისებრივი კვლევა ("სიდრმისეული ინტერვიუ").

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

1. მასწავლებელთა უმეტესობა აღიარებს კრიტიკული აზროვნების განვითარების აუცილებლობას, თუმცა გარკვევით ვერ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას.
2. მასწავლებელთა უმეტესობა არ იცნობს კრიტიკული აზროვნების განმავითარებელ ტექნოლოგიებს, არ იცნობს კრიტიკული აზროვნების განვითარების ფაზებს.

3. მასწავლებელთა უმრავლესობა მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს ტექსტის ანალიზის ეტაპზე წარმოქმნილ პრობლემებს.

4. მასწავლებელთა უმეტესობა ასახელებს ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს, თუმცა ვერ საუბრობს ამის მიზეზებზე. ამ ეტაპზე გამოყენებული მეთოდები ყველასთან ერთფეროვანია ( კითხვა-პასუხი ), მხოლოდ ორმა მასწავლებელმა აღნიშნა რომ იყენებს დისკუსიას.

5. მასწავლებელთა უმეტესობა არ იყენებს სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს.

6. მასწავლებელთა უმეტესობა რეფლექსიას არ მიიჩნევს გაკვეთილის მნიშვნელოვან კომპონენტად.

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფისა და კრიტიკული შენიშვნებისათვის, ასევე, ნაშრომის წერის პროცესში მოწოდებული მასალებისთვის მადლობას ვუხდით ჩემი თემის ხელმძღვანელს, პროფესორ თამარ ტალიაშვილს.

ასევე, მადლიერება მინდა გამოვხატო კვლევის ხელმძღვანელის, ნათია ანდლულაძის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ) და ყველა იმ მასწავლებლის მიმართ, რომლებიც დამეხმარენ კვლევის ჩატარებაში.